# ხელშეკრულება №13/07

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(მომსახურების შესყიდვა)

ქ. თბილისი                                                                 13ივლისი 2012წ

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი 62-ე საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი), მისი დირექტორის თამარ მელაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ფორინჯენი" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი ხელმძღვანელის ნიკოლოზ ბაქრაძის სახით, ეხელმძღვანელებიან რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## I. ხელშეკრულების საგანი

1.1. „დამკვეთის" დავალებით „მიმწოდებელი" ითავსებს ერთჯერადად ქვემოთ აღწერილი შემდეგი სახის მომსახურებას, კერძოდ:

ა) სკოლის წარმომადგენლების თანდასწრებით, შეადგინოს დეფექტური აქტი (სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის და პროექტის).

1.2. საპროექტო და სამუშაოები ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ ქ. თბილისის საჯარო სკოლებში შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის („ხარჯების") შესაბამისად, მიუთითებს სარეაბილიტაციო დეფექტური აქტის საფუძველზე.

1.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია წარადგინოს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის წარდგენის ფორმით ბეჭდური ფორმით და ელექტრონული სახით;

## II შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია სკოლის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის დეფექტური აქტების დამუშავება.
**(cpv 71200000 )**

## III ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 400 ( ოთხასი) ლარს.

## IV შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## V ანგარიშსწორება ფორმა და ვადები

5.1 მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება შემსყიდველის მიერ ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისო უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო. ანგარიშსწორება მოხდება შემსყიდველის მიერ მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 დღის განმავლობაში.

## VI მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს სახელმწიფო შესყიდვების ობიექტის სრული ღირებულება;

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## VII მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გამოსვლა. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებით ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3. ხელშეკრულებიდან გასვლის მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

## VIII ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012წლის **13 ივლისიდან და ძალაშია 2012 წლის 25 ივლისის ჩათვლით**

8.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 5 დღის განმავლობაში.

## IX ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## X. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## XI. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

11.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს 62–საჯარო სკოლის დირექტორი თამარ მალაზონია.

11.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

## XII სხვა პირობები

12.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.
12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ანდა შევსება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## XIII მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**დამკვეთი**

სსიპ 62-ე საჯარო სკოლა
ს/კ 211351605
მის: ქ.თბილისი, შარტავას N62

დირექტორი: თამარ მალაზონია

**შემსრულებელი**

შპს „ფრონტონი" ს/კ 454406802
მის: ქ. თბილისი დიდგორის რ/ნ,
ოქროყანა ზონა „ც" აგარაკი N92 ბN1
პროკრედიტ ბანკი, ბ/კ MIBGGE22
ა/ა GE[illegible]0133600100056440
დირექტორი [illegible]